


4
1963

გერმანული
ბიზნისი




№ 16 თბილისი აგვისტო 1963
ნანუკი
გამოცემის 41-ე წილი, ფასი 20 კაპ.



— რა ქნა რევიზორმა, დანაკლისი ვერ აღმოაჩინა?
— რაც ჩამოვიდა სულ ქეიფშია, თვალეზს ვეღარ
ახელს და რას აღმოაჩენს!

ნან. ჯ. ლილუასი



სსსრ-ის „დახმარება“

ეროვნული
განკარგობის

გულის ფანქვალთ ელიან ადამიანები უბედური შემთხვევის დროს გამოძახებულ სასწრაფო დახმარების მანქანას. სიკვდილთან სიცოცხლის გამარჯვების საქმეში წუთები სწევებენ ყველაფერს. სასწრაფო დახმარების მუშაკთა უნარზე, ოპერატიულობასა და კეთილსინდისიერებაზე დიდად არის დამოკიდებული ავადმყოფის ბედი.

თვით სიტყვები „სასწრაფო დახმარება“ იმაზე მიგვითითებენ, რომ მანქანა, რომელსაც წითელი ჯვარი ახატია, სწრაფად უნდა მიდიოდეს გამოძახების ადგილზე.

სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება არ ესმის, უფრო სწორად არ უნდა რომ ესმოდეს, დუშეთის რაიონული საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების ზოგიერთ მუშაკს და მათ შორის კი



ავტომანქანის მძღოლს გიორგი ოსიპოვს. იგი პირველ რიგში სასწრაფო დახმარების მანქანას მგზავრთა სასწრაფოდ გადაყვანისა და სხვადასხვა სახის ტვირთის გადასაზიდად ხმარობს. შემდეგ კი, თუ დრო დარჩა, 5—6 საათის დაგვიანებით დაზარალებულსაც მიაკითხავს და სასწრაფოდ დაეხმარება.

მიმდინარე წლის 11 აგვისტოს სოფელ ჩარგლიდან 10 კილომეტრის დაშორებით კაწალხევში ხიდან ჩამოვარდა ახალგაზრდა ბიჭია ჩოხელი და მძიმედ დაშავდა. მალაროსკარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ გრიგოლ ბილიხოძემ დაუყოვნებლივ გამოიძახა დუშეთის რაიონულ საავადმყოფოდან სასწრაფო დახმარება. დაზარალებული საკაცით ჩამოიყვანეს სოფ. ჩარგლამდე და აქ ექიმმა ქეთევან შენგელიამ გაუწია პირველი დახმარება. ავადმყოფს ნეკნები აღმოაჩნდა ჩამტვრეული.

გავიდა ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი საათი და სასწრაფო დახმარების მანქანა მაინც არ ჩანდა. დღის სამის ნახევარზე გამოძახებული მანქანა მხოლოდ საღამოს 8 საათზე მოვიდა შეწუხებულ ავადმყოფთან.

— სად ხართ? სად დაიქარგეთ?

— იქით ვიყავით რა... ვსეირნობდით. — უბასუხა ავტომძღოლმა ოსიპოვმა.

— ეტყობა ხალტურაზე სეირნობდი, მანქანა ლობიოს და ფქვილის ნარჩენებითაა დასვრილი.

— ფქვილი არა, ბოზბაში, ვერ უყურებ რომ პენიცილინია?! ექიმ დ. ნამგალაურს ყურადღება არ მიუქცევია ხალხის აღშფოთებისათვის და ავადმყოფის გასინჯვის გარეშე გასცა განკარგულება მანქანაში ჩაწვინათ დაზარალებული.

შეკრებილი ამხანაგები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ დაზარალებულისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების გამო.

დუშეთის რაიონულ საავადმყოფოში კვალიფიციური სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს ბ. ჩოხელს. ის ამჟამად გამოჯანსაღების გზაზეა.


სამწუხაროდ, იქაური სასწრაფო დახმარება ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, რომ თვითონ საჭიროებს სასწრაფო დახმარებას.

დუშეთის რაიონის მთავარი ექიმის ბრძანებით, სასწრაფო დახმარებისადმი საერთო ხელმძღვანელობა დავალებული აქვს პოლიკლინიკის გამგეს ო. ნამგალაურს. მაგრამ სასწრაფო დახმარების პუნქტში ისეა არეული ყველაფერი, რომ კაცი ვერაფერს გაატკევეს. გამოძახების სარეგისტრაციო წიგნში არ წერენ, თუ რომელ საათზე იქნა გამოძახებული სასწრაფო დახმარება. საგზურებში არ აღნიშნავენ როდის წავიდნენ გამოძახებაზე და როდის დაბრუნდნენ. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს გ. ოსიპოვის მსგავს უსინდისო ადამიანებს სასწრაფო დახმარების მანქანა შემოსავლის წყაროდ გაიხადონ.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ გამოძახებათა წიგნში 11 აგვისტოს თარიღით სრულიად არ არის შეტანილი ბ. ჩოხელის გვარი, ხოლო მისი ავადმყოფობის ისტორიაში საავადმყოფოში მიყვანის დროდ ჩაწერილია 11 აგვისტოს 13 საათი. გამოდის, რომ ჩოხელი უფრო ადრე დაუწვევინათ საავადმყოფოში, ვიდრე უბედური შემთხვევა მოხდებოდა. ალბათ, ეს სასწრაფო დახმარების დაგვიანების საკომპენსაციოდ გააკეთეს აქაურმა მუშაკებმა.

დადასტურებულია, რომ 11 აგვისტოს გ. ოსიპოვი ჯერ თბილისში იმყოფებოდა მანქანით და სასწრაფო დახმარებით მგზავრებიც გადაჰყავდა სასწრაფოდ. შემდეგ დაზარალებულ ბ. ჩოხელის ჩამოსაყვანად წავიდა ჩარგალში და გზაში ხშირად უხდებოდა გაჩერება, რადგან ხალტურით წაყვანილი მგზავრების მანქანაში ჩასხდომისა და გადმოსვლისათვის დრო იყო საჭირო. როგორც თვითონ აცხადებს, ყინვალში „ცოტა“ შეჩერებულა, რომ ტელეფონით დაერეკა და გაეგო დაზარალებულს კიდევ უნდოდა დახმარება, თუ არა.

ჩვენ უფლება არ გვაქვს არ ვენდოთ ექიმ დ. ნამგალაურის მესხიერებას ის კი წერს, რომ: „მანქანის მძღოლმა ყინვალისა და წამოიყვანა ორი თუ სამი მგზავრი“. რა ვუყოთ, იქნებ ექიმმა ზუსტად ვერ დაითვალა მგზავრები?! თვით გ. ოსიპოვიც არ უარყოფს თავის „გულკეთილობას“ და ადასტურებს, რომ მგზავრები ყინვალისა და ჩარგლისაკენ წაიყვანა.



ისმება კითხვა — ასეთი აღმამფოთებელი ფაქტების შემდეგ განა შეიძლება დუშეთის საავადმყოფოს სასწრაფო დახმარებას სასწრაფო დახმარება ეწოდოს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სასწრაფო ღონისძიებას გაატარებს არსებული მდგომარეობის გამოსწორებლად და სასწრაფოდ დასჯის იმ მუშაკებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით აბუჩად იგდებენ დაზარალებულ ადამიანებს და საფრთხეში აგდებენ მათ სიცოცხლეს.

ნ. შველიძე
3. კახელიშვილი



ნახ. გ. ჭუმბურიძისა

— საწყობის გამგედ რომ დანიშნეს, თუ იცნობთ?
 — ძალიან კარგად, ხუთი წელი ერთად ვიჭეკით გაფლანგვისათვის!

დაიძვს და ვერ კოვლობს

ივლისის მიწურულში ტატიანა პაპუაშვილი უმადლეს სასწავლებლებს ჩამოუარა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წინ შეგროვილ ახალგაზრდებთან შეჩერდა. მისი ყურადღება ერთმა ფილოსოფიურად ჩაფიქრებულმა ჭაბუკმა მიიპყრო.

— რამ დაგაფიქრა, ძამიკო, — კარგი ნათესავით შეეკითხა ტატიანა უცნობ ახალგაზრდას.

— ინსტიტუტში საბუთები შევიტანე და ახლა იმაზე ვფიქრობ — გამომივა რამე თუ არა. — უთხრა გულშემატკივარ უცნობს ახალგაზრდას.

— საიდან ხარ ჩამოსული, ძამიკო, — კვლავ შეეკითხა ტატიანა უცნობს.

— თბილისელი ვარ, დეიდა, ორთაჭალიდან, ნოდარ სვანიძე.

— მშობლები გყავს?

— როგორ არა!

— მერე და ასე უბრალოდ ფიქრობ უმაღლესში ჩარიცხვას, ცოდნის იმედი გაქვს? პროფესორიც რომ იყვე, მაინც ვერ მოხვდები, თუ ეს არ გაქვს. — და ტატიანამ მის საჩვენებლად საჩვენებელი თითი ცერს გაუსვ-გამოუსვა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით, დეიდა? — შეჰკადრა ნოდარმა მოულოდნელად აღმოჩენილ გულშემატკივარს.

— შენ მისამართი მომეცი და ამ საღამოს სახლში დამხვდი მშობლებთან ერთად, დანარჩენზე შემდეგ მოვილაპარაკოთ. — უთხრა და მისამართი ჩაიწერა ახალ-მოვლენილმა დეიდას.

საღამოს ტ. პაპუაშვილი უკვე სვანიძეების ოჯახში იყო და ნოდარის მშობლებს საქმიანი ტონით ესაუბრებოდა.

— მართო საბუთების შეტანა არ ყმარა შეილის უმაღლესში მოსაწყობად! გინდათ ეს მშვენიერი ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებლის გარეთ დატოვოთ?!

— აბა რა ვქნათ, ბატონო, რა გზა გამოვინახოთ? — შეეკითხნენ მშობლები.

— ფულია საჭირო, ფული! — მოურიდებლად უთხრა ტატიანამ.

— კი მაგრამ, ძვირი დაგვიჯდება?

— ოთხი ათასი ახალი ფულით. — იყო პასუხი.

— მაგდენი სად გვაქვს, მაგის ნახევარს ძლივს მოფუყარეთ თავი. თუ რამეს გეოწმებო, შენი ტირის სასაცილო იყოს. — უთხრეს მშობლებმა.

— ცოტაა, მაგრამ ჯერჯერობით ვიკმარებ, ხოლო როცა თქვენი შვილი სტუდენტი გახდება, დანარჩენი მაშინ უნდა მომცეთ. უხერხულობაში არ ჩამავდით, ხომ იცით, რომ ხალხს პატივისცემა უნდა. — განუმარტა ტატიანამ.

— კი მაგრამ, გამოვა რამე? — შეეკითხა ნოდარი.

— როგორ თუ არ გამოვა! აქ თუ არ გამოვა, ბოლოს და ბოლოს, სოხუმში მოვაწყობ, შემდეგ ვაღმოვიყვან თბილისში. — დააიძვდა ტატიანამ. — მე ვივინდარა ხომ არ გგონივართ? აი ჩემი საბუთები, აი ჩემი მისამართი თბილისშია და სოხუმშია. — წარუდგინა პირადობის მოწმობა ტატიანამ და შემდეგ დაძვინა: — მე შემძლია ფულზე ხელწერილიც მოგცეთ.

მართლაც მეორე დღეს სანოტარო კანტორაში ფული სესხად გაათორმეს და ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

გავიდა დრო. დამთავრდა გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ნ. სვანიძე მიღებულია სიაში არ სჩანდა. სასწრაფოდ მისწერეს ტატიანას წერილი სოხუმში და მალე დამამიჯნებელი პასუხიც მიიღეს: იქაურ ინსტიტუტში მოწყობასა და მალე გამოძახებას პირდებოდა.

როცა გამოძახება დაგვიანდა და ნოდარს იმედი გადაუწყდა, თვითომ ჩავიდა სოხუმში, მაგრამ „დეიდა“ ტატიანა სახლში არ დახვდა.

მას შემდეგ დაიძვნენ ნოდარ სვანიძე და ვერ პოულობს „კეთილ დეიდას“. იქნებ სათანადო ორგანოები დაეხმარონ მის მოძებნაში.

3. ნიკოლოზივილი



თბილისიდან მოშორებით, ზნაურის მახლობლად, არსებობს „საქთალკის“ წარმოება. როგორც ყველა წარმოებას, „საქთალკსაც“ ჰყავს თავისი დირექტორი არჩილ ყამარაული და მთავარი ინჟინერი ილია კეკელიძე. რა თქმა უნდა, აქ მუშაობენ რიგითი ინჟინრები და მუშები.

რაც „საქთალკის“ წარმოება არსებობს, და „საქთალკის“ წარმოება კი საკმაოდ დიდი ხანია არსებობს, არ ყავდათ დისპეტჩერი, არ ყავდათ იმიტომ, რომ არ ყავდათ ავტომატანები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ დამტვრეულ სანიტარულ მსუბუქ ავტომანქანას. და აი, ამა წლის ნ მაისს მოვიდა საქმთამადნეულის ტრესტიდან სასიამოვნო ცნობა, თქვენ, ე. ი. „საქთალკის“ წარმოებას, გეძლევათ დისპეტჩერის შტატი, ხელფასი ოთხმოცდათხუთმეტი მანეთით. დირექტორმა ყამარაულმა არჩევანი სოსო ტატიშვილზე შეაჩერა. გამოცდილი და მოხერხებული კაცია, გამოგვადგებაო. ტატიშვილსაც არ უთქვამს უარი — ოქტომბერში სამოცი წლისა ვსრულდები, პენსიაზე გასვლის დრო მომდის და ოთხმოცდათხუთმეტი მანეთი არცთუ ისე ცოტააო.

მართალია სოსო ტატიშვილს დისპეტჩერად არასოდეს უმუშავებია, მაგრამ გამოცდილი კაცისთვის რაა დისპეტჩერობა. მით უმეტეს ერთი მანქანის დისპეტჩერობა. ასე რომ, „საქთალკს“ დისპეტჩერი აკლდა და ისიც მიემატა.

ამბობენ ტატიშვილმა უფროსების ნდობა გაამართლა და ყამარაული დიდად გმაცოფილია მისი საქმიანობით.

— ეს რა ბოძებია? — იკითხა ერთხელ დისპეტჩერმა.

— კალათურთის სათამაშო მოედნისაა, — უპასუხეს ტატიშვილს. ეს იყო და ეს. დაიბადა იდეა, რომელიც დირექტორმა მოიწონა და აიტაცა.

— თუ კაცს გოგრა უვარგა, ამ მოედანს შემოღობავს და გოგრას, სიმინდსა და ლობიოს დათესავს, — გაამხილა თავისი ჩანაფიქრი დისპეტჩერმა.

— საკარმიდამო ნაკვეთი მართლაც არა გვაქვს არც მე და არც მთავარ ინჟინერს, შემოღობვა კი ადვილი საქმეა. მავთულის ბადე ოცდახუთი გრანული გვაქვს წარმოების ტერიტორიის შემოსაღობად, ხე-ტყის მასალას საწყობიდან გამოვიწერთ და ისეთ ღობეს შემოვარტყამთ, რომ ჩიტი ვერ გადაფრინდეს. — სთქვა დირექტორმა და გააკეთა კიდევ.

წარმოების საწყობიდან გამოიწერა შვიდნახევარი კუბმეტრი მასალა და ზედ შვიდი კილოგრამი ლურსმანიც მიაყოლა. ოცდახუთი გრანული მავთულის ბადე გაჭიმეს და დაახლოებით ჰექტარნახევარ ფართობს შემთავლეს გარშემო, შემდეგ კოლმეურნეობის სახნისი შეუბეს ტრაქტორს და ერთ წუთში ყამირი გადახნეს, დათესეს გოგრა, სიმინდი და ლობიო.

ყამარაული, კეკელიძე და ტატიშვილი თავიანთ ყანას უყურებდნენ და ტკბებოდნენ, ისეთი სიმინდი მოვიდა, რომ ცხენიანი კაცი თავისუფლად დაიძვებოდა შიგ.

მართალი უნდა ითქვას: არც ერთ მათგანს წვეთი ოფლიც არ დაუღვრია ყანაში მუშაობით. თავისუფალ საათებში მუშები აშუშავებდნენ ყანას. არც სასუქი დააკლეს მამულს თადარიგისა და მეურნეობა. აქ დახმარება ავარის პუნქტის გამგემ გაუწია და საკმარისად უშოვნა მინერალური სასუქი, ხოლო წარმოების ტერიტორიაზე არსებულ სასადილოში მომუშავე ქალს ეს სასუქი ყანაში მოაყრევინეს (ახლა ეს ქალი სასადილოდან წარმოებაში გადავიდა სამუშაოდ).

— ეს ნიგვზისა და აკაციის ხეები ვისია? — იკითხა ისევ ტატიშვილმა, ინჟინერ-ტექნიკოსთა სახლის წინ არსებული ბაღის ნარგავობაზე.

— ეს ბაღია, აქ მოსახლეობა და მუშები ისვენებენ. სულ მალე ბაღიც დაიხნა, დაითესა და დაიკვტა ბოქლომით. ბაღი პატარაა და რაღა გასაყოფიანო, ამიტომ ტატიშვილმა მთლიანად მიისაკუთრა.

თბილისიდან მოშორებით, ზნაურის მახლობლად, არსებობს ძნელად მისასვლელი „საქთალკის“ წარმოება. როგორც ყველა წარმოებას, „საქთალკსაც“ ჰყავს დირექტორი არჩილ ყამარაული და მთავარი ინჟინერი ილია კეკელიძე. ამ ბოლო დროს დისპეტჩერიც მიემატათ და დაიწყო ზნა-თესვის კამპანია.

— რასაცა დასთეს, იმას მოიძვი, — ამბობს ხშირად დისპეტჩერი და არცა სცდება.



...რომ პატარა მდინარე სურამულას, რომელიც ქალაქ ხაშურს შუაზე ჩამოედის, ხშირად ვერ აკმაყოფილებს თავისი კალაპოტი, რომელშიაც იგი ჩვეულებრივად მოედინება. დადგენილია, რომ ეს სდებდა წყალდიდობის დროს. გარდა ამისა, მდინარის პირად მცხოვრებთა ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ ასეთ შემთხვევებში მდინარე სურამულა ხაშურის საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობასთან ყოველგვარი შეთანხმებისა და მისი ნებართვის გარეშე ტოვებს კალაპოტს და უღანოვისა და კიდეც სხვა ქუჩებში მიედინება. მდინარეს თან მოაქვს უამრავი ტალახი და ჯერ კიდევ ამოუცნობი სხვა სურნელოვანი ნივთიერებები, რომელთაც იგი თავის კალაპოტში ჩადგომისას მოსახლეობას უტოვებს. ზემოხსენებული ქუჩების მოსახლეობის აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს, ხოლო საქალაქო საბჭოს მუშაკები დიდი ინტერესით აღევნებენ თვალყურს ამ საინტერესო მოვლენას.

...რომ ქალაქ ქუთაისში არსებობს ლესელიძის ქუჩა, რომელიც თავიდან ბოლომდე ლამაზად კეთილმოწყობილი ორმოვებით არის დაფარული. ქუჩის მცხოვრებლები თავისუფალ დროს შესანიშნავად ერთობიან ორმოებზე სტომით. იშვიათად, მაგრამ მაინც არის ორმოში ჩავარდნის შემთხვევები. ლესელიძის ქუჩა კიდევ იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ წვიმიან ამინდში შეიძლება ტალახით გართობა, ხოლო მზიან ამინდში — მტვრით. ზემოხსენებული ქუჩა არ საჭიროებს არც ქვაფენილის დაგებას და არც სხვა რაიმე სახის კეთილმოწყობას. ყოველივე ამის გარდა ლესელიძის ქუჩის მცხოვრებლებს კიდევ ერთი გასართობი გააჩნიათ — დროდადრო ისინი ქუჩის კეთილმოწყობის საკითხებზე განცხადებებს აგზავნიან სათანადო ორგანოებში, რითაც ამ ორგანოების მუშაკებიც ერთობიან.

...რომ მგზავრთა საინტერესო მომსახურებით გამოირჩევა ონის ავტოსადგური, რომლის უფროსს მიხეილ შიმშილაშვილს შემუშავებული აქვს მგზავრებთან ურთიერთობის საკუთარი მეთოდები. იმის გამო, რომ მგზავრებს წინასწარ შეძენილი ბილეთები შემთხვევით არ დაეკარგოთ, შიმშილაშვილი ენერგიას არ ზოგავს, რათა ბილეთები მხოლოდ წინააღმდეგ გაიყიდოს. ამ მიზნის განსახორციელებლად ზოგიერთი შეუგნებელი და მოუთმენელი მგზავრების მიმართ უნარიანად არის გამოყენებული ჩხუბის, გინების და სხვა მსგავსი მეთოდები, რომლებსაც ყოფილი პედაგოგი შიმშილაშვილი შესანიშნავად იყენებს. ამ ხერხების გამოყენების დროს, არეულობის გამო, ადგილი აქვს ფასების დამახინჯებას, რაც მგზავრებზე ზემოხსენებულ ზრუნვასთან შედარებით წვრილმანად უნდა ჩაითვალოს. საჩივრის წიგნის მოთხოვნის შემთხვევაში მგზავრები უზრუნველყოფილი არიან მტკიცე უარით.

...რომ № 2 ლუდის ქარხნის დირექციამ ორჯონიკიძის ქუჩა № 44 მობინადრეთა გასართობად ქარხნის ქუჩისპირა ფანჯრებთან დადგა ორი სავენტილაციო ძრავა, რომლის „ნაზი“ ხმაური ყოველ ღამე ართობს მოსახლეობას. მადლიერების გრძნობით ადგილს მობინადრეებს მთელი ღამე არ სძინავთ იმის შიშით, რომ ძრავები სხვა ადგილას არ იქნეს გადატანილი.

...რომ კურორტ საირმეში არსებობს შერეული, უფრო სწორად არეულ-დარეული, მაღაზია, სადაც გამყიდველად ბონდო ლებანიძე მუშაობს. მაღაზიაში გამოყენებულია ვაჭრობის ძველი, გამოცდილი მეთოდები — დახლქვემ ვაჭრობა, საქონლის გაყიდვა მხოლოდ ნაცნობებზე, უკმეხობა და ა. შ. იმის გამო, რომ გამყიდველებს შესანიშნავი მახსოვრობა აქვთ, საჭირო აღარ არის საქონელზე ფასების დაწერა. იმ შემთხვევებში, როდესაც მოსახლეობას არსებული საქონელი ვერ აკმაყოფილებს, მაღაზია უზრუნველყოფს მათ ე. წ. უფაქტურო საქონლით, რითაც მომხმარებლები დიდად აკმაყოფილები არიან.



მილიქენლის მოსაზრებულობა
— ნელა გამოიარეთ, ალფეზიჩ, ქვებმა ფეხი არ გატკინოთ!

მინიატურები

— თქვენს სახლს კარები არა აქვს?! — ხუმრობით მიმართა ოთახში შემოსულ სტუმარს მასპინძელმა და ღაღ დატოვებულ კარებზე მიუთითა.
— აქვს, მაგრამ არ იკეტება!
— რატომ?!
— ახალ ბინაში ვცხოვრობ!
* * *
— თუ არ ვცდები, ხურდა მერგება!.. — მიუბრუნდა მომხმარებელი მოლარეს.
— ჰმ... ორი კაპიკი?! — ჩაიცინა ირონიით მოლარემ.
— რა გაცინებს, მე არც

ერთი კაპიკი არა მაქვს გადასაყრელი!..
— როგორ, მე გადასაყრელად მინდა თუ?! — გაკაპასდა მოლარე.
* * *
— როგორ მოგწონს ჩემი ხმა? — შეეკითხა ცოლი ქმარს მორავი ვოკალური უარჯიმოს შემდეგ.
— კარგია!.. — მოუწონა ქმარმა.
— ხომ არ აფუწოვ ცოტა?
— ჯერ რა გეჩქარება, ჩემო კარგო, ჩვენ ხომ ახლახან მოვაწერეთ ხელი? — მიუგო ქმარმა.
ბრ. ჩიქვილაძე

თეატრალური დიალოგი

რეჟისორი და დრამატურგი:
— თქვენს პიესას რაღაც აკლია!..
— იუმორი?..
— არა! თქვენ შესანიშნავად ფლობთ იუმორს!..
— თემა დრომოქმულია?
— რასა ბრძანებთ, თემა უაღრესად აქტუალური და თანამედროვეა!
— პერსონაჟები არ მოგწონთ?
— არც მიფიქრია!
— სათაური ხომ არ გაფიქრებთ?
— გულთმისანი ყოფილხართ, მაფიქრებს და თანაც სერიოზულად!

— თქვენ რას მთავაზობთ?
— ერთად მოვიფიქროთ, კარგი სათაური დიდ ეფექტს ახდენს! სტანისლავსკი ამბობდა, რომ...
— წამიკითხავს!..
— ჰოდა!..
ჰოდა, რეჟისორმა და დრამატურგმა მართლაც ერთად მოიფიქრეს პიესის სათაური. მალე პრემიერაც შედგა. როცა აღფრთოვანებულმა მაყურებლებმა პიესის ორი ავტორი გამოიძახეს, რეჟისორმაც მორცხვად თავი დახარა.
ზოთა მარმარაშვილი

განათლება

ნიანგს



პატივცემულ ნიანგო!

საჩხერის რაიონის სოფ. ჯალაღორთის მცხოვრებლებმა, დიდხანს იფიქრეს და დაადგინეს: ...ვინაიდან შვიდწლიანი სკოლის ძველი შენობა იხრება, — ავაშენოთ საშუალო სკოლის ახალი ტიპიური შენობაო.

დაადგინეს და გაღებულ იქნა საჭირო თანხა. მოვიდა დაძაბოვებული ჯგუფი. მათაც დაადგინეს: სკოლა აშენდეს ფესბურთის მოედანზე, ამოღებულ იქნეს ორი მეტრი სიღრმის ბაღავარიო...

მოზიდეს ქვა...
მოზიდეს ქვიშა...
მოვიდა იხიენერი და თქვა: — ვაშენოთ სურათად, ააფად და კარგად!...

გაჩაღდა მუშაობა. იყრებოდა საძირკველში ქვა, ეყრებოდა ქვებზე ქვიშა, ქვიშას აფრქვევდნენ ცემენტს... მიუშვეს ღარიტ წყალი (!), აივსო ბაღავარი, ამოშორდა მიწის პირს. იხარე გულო, მოკვდი მტერო!

მაგრამ გავიდა დღეები. დაიწყო საძირკველმა მიწაში ნელ-ნელა ჩამალვა. შეჩერდა მუშაობა.

ეს იყო 1958 წელს. წელს მიყვა წელი... დაიშალა მიწით კედელი, ამოვიდა ბაღავი.

დაფიქრდნენ ჯალაღორთელები. ერთნი ამბობდნენ, ადგილი გამოდგა გაუმძღარი, სხვა ადგილზე ავაშენოთო.


სხვებმა გაიხსენეს ლეგენდა: სურამის ციხის ამენების დროსაც იყო ასეთი შემთხვევაო, სანამ ძე კაცისა არ ჩააყოლებს, არაფერი ეშველაო. მაგრამ ვარდუა შეითხავმა რადგან კარგა ხანია წაიღო ჩვენი ქირი, თქვენ ხომ ვერ გვეტყვით. პატივცემულ ნიანგო, ვინ ჩავაყოლოთ საძირკველში?!

განათლებულ ნიანგო!

იქნებ ვინმემ თქვენს სახელზე საჩივარი შემოიტანოს. — ცხინვალში 19, 20 და 21 ივლისს რამდენიმე საგზებთო კიოსკი დაკეტილი იყო, ხოლო ჩალხის საათობით ამოიდ იდგარიგზით და გვირდა გაგაფრთხილოთ, რომ ეს სრულ სიმართლეს შეეფერება. მაგრამ მას აქვს „გასამართლებელი“ მიზეზი; დიახ, სრულიად „ობიექტური“ მიზეზი, სახელდობრ ის, რომ იმ დღეებში „სოიუზპეჩატის“ სამხრეთ-ოსეთის განყოფილების უფროსმა ილია იკაევმა ქ. ორჯონიკიძეში ექსკურსიაზე წაიყვანა განყოფილების ექსპედიტორი შ. ბესტაევა და კიოსკის ორი გამყიდველი. ჩვენ კი სამი დღე გარესამყაროსგან რომინზონ კრუზოსავით ვიყავით მოწყვეტილი და ღმერთს მადლობას ვწირავდით, რომ უფრო შორს არ მოეწყო ექსკურსია.

ახლა, ჩვენი თხოვნა ისღაა — თუ ი. იკაევი კიდევ დააპირებს ექსკურსიაზე ხალხის წაყვანას, უსათუოდ წინასწარ შეგვატყობინოს და, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდება, იმ დღეებში ჩვენც წავალთ ექსკურსიაზე.

უგაზეთოდ დარჩენილ მცხოვრებთა სახელით
ლევან კოლხი





საუვარელო ნიანგო!

არც ისე პატარა ქუჩაა დოლიძის ქუჩა, საბურთალოზე მდებარეობს, აქვს საკმაო აღმართი და, მამასადამე, დამართი. წვიმა რომ მოვა, წყალი ძირს ჩამოდის, ორი წყალმიმღები კია ზედ მოწყობილი, მაგრამ ორი წყალმიმღები არა და არ ჰყოფნის მას, რადგან, ორს რომ აავსებს, მერე დარჩენილი წყალი ღვართქაფივით მოედინება ძირს და № 29 სახლს წალეკვით ემუქრება. თქვენ წარმოადგინეთ, რომ როცა ასეთი შემთხვევა ხდება, ტრანსპორტის მოძრაობაც წყდება, ვხივივართ ამაზე, ცა და ქვეყანა შევძარით, მთავრად ასე გვეუბნებიან, ჯერ ხომ ზარალი არ ყოფილა, თუ რაიმე მოხდება, მაშინ მოვალთ, კიდევ მესამე წყალმიმღებს გავაკეთებთო.

მაგრამ, ნუთუ, სანამ არ დავზარალდებით, წყლითა და ღორღით არ წავილეკებით, მანამდე ყურადღება არ უნდა მოგვაქციონ?
ისევ შენ უნდა გვიმველო, ჩვენო საუვარელო ნიანგო!

დოლიძის ქუჩის მცხოვრებლები



— ხედავ, ეს მოცეკვავე რამდენ ხანს დგას ფეხის წვერებზე?
— ჩვენი მეზობელი ელენე უფრო დიდხანს ჩერდება ფეხის წვერებზე, როცა მეზობლებს უხმენს ჩუმად!

რედაქტორი **ნ. შველიძე**. | სარედაქციო კოლეგია: **ნ. დუმბაძე, ს. კლიაშვილი, მ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე**. | ხაქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 26/VIII-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნსტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1747, უფ 07256. ტირაჟი 40.000

° მოსკოვის
 ხელუქარულები
 ჰაერში, კოსმოსურ
 სივრცეში და წყარ-
 ქვე ატმოსფეროში
 რაღისგან მოსდის
 ანტიკავის
 უსუსუბ

— პაერს ნუ სწამლავთ, „მოწყვეტა“ აკრძალულია!

